WIZZ ანგარიში

პირობები

1. განმარტებები

1.1. მგზავრი: პირი, რომელიც სარგებლობს Wizz Air-ის მგზავრთა გადაყვანის სერვისებით.

1.2. კლიენტი: მგზავრი ან მგზავრის სახელით მოქმედი მესამე მხარე, რომელიც WIZZ ანგარიშის გახსნის ინიციატორია და ახორციელებს გადახდებს WIZZ ანგარიშის შევსების პაკეტის საშუალებით ან სხვა მეთოდებით.

1.3. მგზავრის რეგისტრაცია: მგზავრის საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო მონაცემების რეგისტრაცია Wizz Air-ის დაჯავშნის სისტემაში. რეგისტრაციის ამოცანაა WIZZ ანგარიშის გახსნა, რომელიც მგზავრთან კონტაქტის საშუალებას იძლევა.

1.4. WIZZ ანგარიში: ანგარიში, სადაც კლიენტის წინასწარი გადახდები, შესყიდვები და ფაქტიური ბალანსი ფიქსირდება.

1.5. WIZZ ანგარიშის შევსება გულისხმობს კლიენტის მიერ საინფორმაციო ცენტრის საშუალებით WIZZ ანგარიშში გადახდილი ნაღდი ფულის ოდენობის კრედიტს, როგორც აღწერილია პარაგრაფში 2.4.

1.6. ძირითადი ვალუტა: კლიენტის მიერ რეგისტრაციის განმავლობაში არჩეული ვალუტა, რომელშიც აღირიცხება ბალანსი WIZZ ანგარიშზე. სასურველია, აირჩიოთ ვალუტა, რომელსაც გამოიყენებთ შესყიდვების ძირითადი ნაწილისთვის. ინტერნეტით დაჯავშნისას, კრედიტით შეგიძლიათ გადაიხადოთ მხოლოდ იმ რეისების საფასური, რომელთა ფასებიც თქვენ მიერ არჩეულ ძირითად ვალუტაშია მოცემული. ყველა სხვა რეისის დაჯავშნა საინფორმაციო ცენტრის საშუალებით შეგიძლიათ. ვალუტის შესაძლებელი ვარიანტები: GBP, EUR, PLN, HUF, RON, SEK, NOK.

1.7. WIZZ ანგარიშის ნომერი: 10-ციფრიანი საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელიც იქმნება დაჯავშნის სისტემის მიერ, მგზავრის რეგისტრაციის დასრულებისას.

1.8. Wizz Air-ის სერვისები: მგზავრთა და ბარგის საჰაერო ტრანსპორტირება.

1.9. საინფორმაციო ცენტრი: Wizz Air-ის სატელეფონო გუნდი კლიენტთა მომსახურებისთვის. საინფორმაციო ცენტრის ნომრები შეგიძლიათ ნახოთ ჩვენს გვერდზე დაგვიკავშირდით.

2. WIZZ ანგარიშების გახსნა და მათი შევსება

2.1. კლიენტს WIZZ ანგარიშის გახსნა შეუძლია მგზავრის მონაცემების დარეგისტრირებით, როგორც აღწერილია პუნქტში 1.3. თუ მგზავრი და კლიენტი ერთი და იგივე პირი არ არის, უნდა მიეთითოს კლიენტის ინვოისირების მონაცემებიც.

2.2. Wizz ანგარიშის შევსება შესაძლებელია საკრედიტო ბარათის ან საბანკო გადარიცხვის საშუალებით არჩეულ ძირითად ვალუტაში გადახდით.

2.3. WIZZ ანგარიშის შევსება ანგარიშზე დაარიცხავს კრედიტებს ძირითად ვალუტაში.

2.4. WIZZ ანგარიშების შევსება მოთხოვნილი უნდა იყოს საინფორმაციო ცენტრის საშუალებით. საინფორმაციო ცენტრი ასრულებს მგზავრის რეგისტრაციას და აწვდის კლიენტს Wizz Air-ის საბანკო ანგარიშის ნომერს, რომელზეც გადახდა უნდა განხორციელდეს და მგზავრის WIZZ ID-ს. გადახდის ორდერი უნდა შეიცავდეს WIZZ ID-ს და მგზავრის სახელს გადახდის ველში.

2.5. როგორც კი თქვენი გადახდა Wizz Air-ის საბანკო ანგარიშზე დაჯდება, ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას გავზარდოთ მგზავრის WIZZ ანგარიშის ბალანსი 2 დღის განმავლობაში და გამოვაგზავნოთ დამადასტურებელი წერილი ელფოსტაზე. თუ დამადასტურებელი წერილი 2 დღის მანძილზე არ მიიღეთ, მგზავრის პასუხისმგებლობაა დაუკავშირდეს Wizz Air-ის საინფორმაციო ცენტრს, რათა გაარკვიოს გადახდის სტატუსი და, საჭიროების შემთხვევაში, დაგვეხმაროს გადახდის იდენტიფიცირებაში.

2.6. მინიმალური თანხა, რომელსაც შევსების ერთი ტრანზაქციით მივიღებთ, არის: 300 EUR ან ეკვივალენტი სხვა ვალუტაში

3. ინვოისირება

3.1. Wizz Air ავტომატურად გასცემს ინვოისს WIZZ ანგარიშზე გადახდილი თანხისთვის და გაუგზავნის მას მგზავრს.

3.2. თუ კლიენტი და მგზავრი ერთი და იგივე პირი არ არის და კლიენტი მოითხოვს ინვოისს ანგარიშის გახსნისას, მაშინ Wizz Air ინვოისს კლიენტს გაუგზავნის.

4. WIZZ ანგარიშის ბალანსის გამოყენება

4.1. WIZZ ანგარიშზე არსებული ბალანსის გამოყენება შესაძლებელია მგზავრისთვის და მასთან ერთად გამგზავრების მსურველი 5-მდე სხვა ადამიანისთვის (ოჯახის წევრები, მეგობრები და სხვა) გაკეთებული ჯავშნის საფასურის გადასახდელად. ბალანსის გამოყენება, ასევე, შესაძლებელია მგზავრის არსებულ ჯავშნებში დროისა და მარშრუტის შესაცვლელად. დაჯავშნა ან ცვლილება, ბილეთის გარდა, შეიძლება მოიცავდეს დამხმარე სერვისებს.

4.2. დაჯავშნა და ჯავშნის ცვლილება შეიძლება მოხდეს ინტერნეტით (wizzair.com) ან საინფორმაციო ცენტრის საშუალებით.

4.3. იმ ჯავშნებში, რომელთა საფასურიც WIZZ ანგარიშით არის გადახდილი, ანგარიშის მფლობელი ერთ-ერთი მგზავრი უნდა იყოს.

4.4. ჯავშნის გაკეთებისას ან მისი შეცვლისას, WIZZ ანგარიშის მფლობელი WIZZ ID უნდა ჩაიწეროს ინტერნეტით დაჯავშნისას ან ეცნობოს საინფორმაციო ცენტრის აგენტს საინფორმაციო ცენტრის საშუალებით დაჯავშნისას.

4.5. თუ WIZZ ანგარიშზე არსებული თანხა არ არის საკმარისი ჯავშნის საფასურის გადასახდელად, სხვაობა შეიძლება საკრედიტო ბარათით გადაიხადოთ.

4.6. თუ დაჯავშნა WIZZ ანგარიშის ძირითადი ვალუტისგან განსხვავებული ვალუტით განხორციელდა, მოხდება დაჯავშნის ვალუტაში არსებული თანხის კონვერტაცია ძირითად ვალუტაში და ის გამოიქვითება WIZZ ანგარიშიდან. ინტერნეტით დაჯავშნისას, კრედიტით შეგიძლიათ გადაიხადოთ მხოლოდ იმ რეისების საფასური, რომელთა ფასებიც თქვენ მიერ არჩეულ ძირითად ვალუტაშია მოცემული. ყველა სხვა რეისის დაჯავშნა საინფორმაციო ცენტრის საშუალებით შეგიძლიათ.

4.7. WIZZ ანგარიშის ბალანსი, რომელიც WIZZ ანგარიშის შევსების საშუალებით არის გადახდილი, განუსაზღვრელი პერიოდით არის ხელმისაწვდომი. WIZZ ანგარიშის ბალანსი, რომელიც პუნქტების კონვერტაციით არის მიღებული, ხელმისაწვდომია, პუნქტების შესახებ არსებული წესებისა და პირობების შესაბამისად.

4.8. WIZZ ანგარიშზე გადახდილი თანხა არ ექვემდებარება ანაზღაურებას და სხვა ანგარიშზე გადარიცხვას.

4.9. თუ Wizz Air გააუქმებს რეისს, რომლის საფასურიც WIZZ ანგარიშით არის გადახდილი, მგზავრი აღნიშნული რეისის ფასს კრედიტის სახით მიიღებს.

4.10. WIZZ ანგარიშის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ Wizz Air Hungary-ის (W6) რეისების შესაძენად.

5. WIZZ ანგარიშის ბალანსი

5.1 ინფორმაცია WIZZ ანგარიშის ბალანსის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ინტერნეტით (wizzair.com) ან საინფორმაციო ცენტრის საშუალებით.

6. WIZZ ანგარიშის გაუქმება

6.1 Wizz Air იტოვებს უფლებას გააუქმოს WIZZ ანგარიში, რის შესახებაც მგზავრს წერილობით აცნობებს 30 დღით ადრე. შეტყობინების პერიოდის შემდეგ ვერ გახსნით ახალი ანგარიშს და ვერ შეასრულებთ ახალ გადახდებს ანგარიშზე. თუმცა, მგზავრებს შეუძლიათ გამოიყენონ მათ ანგარიშზე უკვე არსებული თანხა, 4.7 პარაგრაფის შესაბამისად.

7. სხვა დებულებები

7.1. როგორც კლიენტმა, ისე მგზავრმა WIZZ ID კონფიდენციალურად უნდა შეინახოს. Wizz Air არ აგებს პასუხს WIZZ ID-ის ბოროტად გამოყენებით, ასევე, კლიენტის ან/და მგზავრის გარდა სხვა პირისათვის მისი გამჟღავნებით გამოწვეულ რაიმე ზარალზე.

7.2. წინამდებარე შეთანხება შედგენილია და ყოველმხრივ ძალაშია უნგრეთის კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე წარმოშობილი დავების მოგვარება, პირველ რიგში, შეთანხმებაში მონაწილე მხარეებს შორის მოლაპარაკების გზით უნდა განხორციელდეს.

7.3. გარდა წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულისა, Wizz Air-გან WIZZ ანგარიშის გამოყენებით შეძენილი სერვისები დაექვემდებარება Wizz Air-ის ტრანსპორტირების ზოგად პირობებს.

7.4. კლიენტი აცხადებს, რომ ის გაეცნო წინამდებარე შეთანხმებაში მოცემულ წესებს. კლიენტი ასევე აცხადებს, რომ მან წინამდებარე შეთანხმების წესების შესახებ მგზავრს სათანადო ინფორმაცია მიაწოდა და რომ მგზავრს ესმის აღნიშნული წესები და იღებს მათ.

7.5. Wizz Air იტოვებს პირობებში ცვლილებების შეტანის უფლებას. ამგვარი ცვლილებების შესახებ, Wizz Air ყველა კლიენტსა და მგზავრს საკუთარი ვებსაიტის (wizzair.com) მეშვეობით შეატყობინებს.